ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი
ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. გ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.01.2013
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: #007/13
საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ, სიითი #
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 16 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. გ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. კ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2009 წლის 10 აგვისტოს სასჯელს იხდიდა --- პენიტენციურ დაწესებულებაში, საქართველოს უზენაეს სასამართლოში დამდგარი განაჩენის საფუძველზე. გ. გ. ადვოკატ ნ. კ.-ს დაუკავშირდა მეგობრის ტელეფონით, ჰკითხა თუ შეძლებდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში ,,საქმე გაეკეთებინა.“ ადვოკატმა განუმარტა, რომ მასთან შეხვედრისთვის დასჭირდებოდა ორდერი. გ. გ.-მა ადვოკატისთვის მიმართვის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა დედას. საჩივრის ავტორის დედამ, ნ. ლ.-მა ადვოკატს 2009 წლის 11 აგვისტოს პირადად გადასცა 600 ლარი, ხოლო ორი კვირის შემდეგ დამატებით, 400 ლარი, ჯამში 1000 ლარი.

1.3 გ. გ.-ის განმარტებით, მომსახურების საზღაურის მიღების შემდეგ, 2009 წლის 12 აგვისტოს ადვოკატი შეხვდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და განუმარტა, რომ მას დიდი სამეგობრო ჰყავდა და უპირობოდ დააბრუნებდა საქმეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ადვოკატმა კლიენტს ასევე უთხრა რომ შეწყალების კომისიის წევრი იყო. ამ დროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს

სისხლის სამართლის საქმეთა პალატას გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. ადვოკატმა დაპირება არ შეასრულა. კლიენტი მისგან ითხოვდა შეწყალების განცხადების დაწერას, რაც ადვოკატს არ გაუკეთებია.

1.4 გ. გ.-ის განმარტებით, ადვოკატი ორჯერ შეხვდა გ. გ.-ს პენიტენციურ დაწესებულებაში. 2010 წლის 3 თებერვალს, კლიენტთან მესამე შეხვედრაზე ადვოკატმა დამატებით მოითხოვა 500 ლარი, თუმცა კლიენტმა უარი უთხრა ადვოკატს მოცემული თანხის გადახდაზე.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს სამართლებრივი დახმარება კლიენტისთვის არ გაუწევია. გ. გ.-ის განმარტებით, მისი ოჯახი სოციალურად დაუცველია, 1000 ლარი მისი ოჯახისთვის სერიოზული თანხაა და ის მოითხოვს ადვოკატმა დაუბრუნოს თანხა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა 2014 წლის 12 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განმარტებით, საჩივარი შეიცავს არასწორ ინფორმაციას. გ. გ. პატიმრობაში იმყოფებოდა ადვოკატ ნ. კ.-ის კლიენტთან ერთად, რომელიც გასამართლებული იყო სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მისჯილი ჰქონდა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ აღნიშნული პირი 9 თვეში გათავისუფლდა და ადვოკატს სთხოვა მის მეგობარსაც დახმარებოდა. ადვოკატ ნ. კ.-ის განმარტებით, იგი შეხვდა მსჯავრდებულის დედას და აუხსნა, რომ რაიმე სახით საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე ფიქრსაც კი არ ჰქონდა აზრი, ვინაიდან საქმეზე დამდგარი იყო განაჩენი.

2.2 ადვოკატის განმარტებით, გ. გ.-ის დედასთან შეხვედრის შემდეგ, შეხვდა თავად კლიენტს, რომელმაც აუხსნა რომ თანამშრომლობდა ციხის ადმინისტრაციასთან და ადმინისტრაცია დაეხმარებოდა კარგი დახასიათებით და შესაძლებელი იყო პრეზიდენტის შეწყალების მიღება. კლიენტისთვის მთავარი იყო ადვოკატს კლიენტის დოკუმენტები მოეწესრიგებინა. კლიენტმა ადვოკატს უთხრა, რომ დედამისი გადაუხდიდა 600 ლარს, საქმის დასრულების შემდეგ კი 2000 აშშ დოლარს. ადვოკატმა ბრალდებულს აუხსნა, რომ წარმოების დასრულების შემდეგ თანხის გადახდა საჭირო არ იყო, ხოლო დოკუმენტების წესრიგში მოყვანაში დაეხმარებოდა. ადვოკატმა კლიენტის, გ. გ.-ის დედისგან მიიღო 600 ლარი, რის შემდეგ ადვოკატმა კლიენტის სასარგებლოდ მოიძია დოკუმენტები: კლიენტის ჯანმრთელობის ცნობა, დახასიათებები სხვადასხვა საპატიმრო დაწესებულებიდან და მისი საცხოვრებელი ადგილიდან. ადვოკატმა მიმართა პრეზიდენტის კანცელარიას შეწყალების მოთხოვნით. ბრალდებულმა უარი მიიღო შეწყალებაზე. ამის შემდეგ ადვოკატს ისევ დაურეკა მსჯავრდებულმა და მოითხოვა შეხვედრა. შეხვედრისას ადვოკატს კლიენტმა უთხრა, რომ თუ შეწყალების კომისიაში ვინმე არ დაეხმარებოდა მის საქმეს, არავინ მიაქცევდა ყურადღებას. კლიენტმა ადვოკატს სთხოვა ვინმე მოეძებნა ვინც დაეხმარებოდა, რომელსაც 5000 აშშ დოლარს გადაუხდიდა, რაზეც ადვოკატმა უარი განაცხადა. ეს ადვოკატისა და კლიენტის ბოლო შეხვედრა იყო. კლიენტმა ადვოკატს სთხოვა გარკვეული პერიოდულობით ჰქონოდა მასთან კომუნიკაცია. ამის შემდეგ გ. გ. თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ურეკავდა და შეხვედრას სთხოვდა ადვოკატ ნ. კ.-ს. ადვოკატის როდესაც ეკითხებოდა კლიენტს თუ რატომ უნდა შეხვედროდა, კლიენტი ჯერ გაურკვეველ პასუხს

სცემდა, ხოლო ბოლოს უთხრა რომ რაღაც შეიცვალა მის საქმეში და აუცილებლად სჭირდებოდა. ადვოკატი კლიენტს რამდენიმე დღეში შეხვედრას შეპირდა. კლიენტთან ბოლო საუბრიდან მასთან მივიდა ამავე დაწესებულების თანამშრომელი მ. კ. და უთხრა, რომ ადვოკატი უნდა შეხვედროდა ქსნის პენიტენციურ დაწესებულებაში ვინმე გ.-ს, რადგან ადვოკატის წინააღმდეგ დაგეგმილი იყო რაღაც პროვოკაცია. თუ ადვოკატი ამას წამოეგებოდა, მას დააპატიმრებდნენ, ხოლო გ. გ.-ს ამის სანაცვლოდ გათავისუფლებას შეპირდა რეჟიმის უფროსი ვინმე ლ.ლ.. ამის შემდეგ ადვოკატმა თავი შეიკავა კლიენტთან შეხვედრისგან. ადვოკატმა კლიენტს სატელეფონო საუბრისას უთხრა, რომ მიღებულ 600 ლარს ვერ დაუბრუნებდა, რადგან ნაწილი წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების საფასურს, ხოლო თანხის ნაწილი გამოიყენა საქმის წარმოების ხარჯებისთვის.

III სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. კ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' მოქმედი წევრი /სიითი #/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 გ. გ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2013 წლის 16 იანვარს.

3.3 სადაო ქმედება განხორციელდა 2009-2010 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა არ შეასრულა მიცემული პირობა საქმის აპელაციის ეტაპზე დაბრუნების შესახებ, არ დაუწერა შეწყალების თაობაზე განცხადება, ადვოკატი არ უბრუნებს უსაფუძვლოდ მიღებულ ჰონორარს, 1000 ლარს.

5.2 საჩივრის ყოველმხრივ გამოკვლევისთვის საპროცესო კოლეგიამ გადაწყვიტა გ. გ.-ის საქმის ზეპირი განხილვა და საჩივრის ავტორთან საპროცესო კოლეგიის სხდომა ჩატარდა 2013 წლის 07.02.2013 წელს. ადვოკატ ნ. კ.-თან ასევე ჩაინიშნა საპროცესო კოლეგიის სხდომა 20.02.2013 წელს, რომელზეც ადვოკატი არ გამოცხადებულა სასამართლო პროცესის გამო. ადვოკატმა განმარტა, რომ სჭირდებოდა დრო განმარტების მოსამზადებლად და იშუამდგომლა წარმოების შეჩერებაზე. ადვოკატის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. 10.04.2014 წელს ადვოკატს ეთიკის კომისიის მხრიდან ეცნობა წარმოების განახლების შესახებ და ჩაბარდა შეტყობინება სხდომის 19.05.2014 წელს ჩანიშვნის შესახებ. ადვოკატი 19.05.2014 წლის სხდომაზე არ გამოცხადდა და სხდომა გადაიდო 23 მაისს. ეთიკის

კომისიამ საკუთარი ინიციატივით 03.07.14 წელს გორის რაიონული სასამართლოდან გამოითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 დეკემბრის განაჩენი გ. გ.-ის საქმეზე. სასამართლომ კომისიას არ უპასუხა და კომისიამ სასამართლოს განმეორებით მიმართა 14.11.14 წელს. სასამართლომ არც განმეორებით წერილს უპასუხა.

5.3 ადვოკატ ნ. კ.-თან ჩაინიშნა საპროცესო კოლეგიის სხდომა 2014 წლის 11 დეკემბერს. 11 დეკემბრის სხდომაზე ადვოკატი არ გამოცხადდა და წერილობით წარმოადგინა პოზიცია. საქმეზე წარმოება შეჩერდა კოლეგიის წევრთა მიერ ეთიკის კომისიის წევრობის შეწყვეტის შესახებ. 24.10.2018 წელს საჩივრის ავტორსა და ადვოკატს ეცნობათ წარმოების განახლების თაობაზე და ეთხოვათ თუ საქმეზე დამატებით სურდათ მასალის წარმოდგენა, წარმოედგინათ. მხარეებს დამატებით არაფერი წარმოუდგენიათ. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების თანახმად, წარმოების საპროცესო ეტაპი არ არის შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული, კერძოდ, მხარეების გამოკითხვა ხდება ცალ-ცალკე, ამასთან მხარის ზეპირ სხდომაზე გამოკითხვა წარმოადგენს კოლეგიის უფლებას და არა ვალდებულებას. შესაბამისად, კოლეგიის შეფასებით ორივე მხარეს წარმოდგენილი აქვს პოზიციები, ადვოკატს არაერთხელ მიეცა საკუთარი პოზიციის სრულად წარმოდგენის შესაძლებლობა მათ შორის ზეპირი ფორმით განხილვაზე, მან წარმოადგინა წერილობითი პოზიცია, ხოლო საქმის ზეპირ განხილვაში არ მიიღო მონაწილეობა, რაც მისი უფლებაა. კოლეგია უფლებამოსილია ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქმეზე მიიღოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

5.4 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.''

5.5 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში." ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის საქმიანობის ფარგლებს, რომლის თანახმადაც ,,საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ რჩევის მიცემას იმ პირისათვის რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა, კლიენტის წარმომადგენლობას სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ საქმეებზე და საკონსტიტუციო დავებზე სასამართლოში, არბიტრაჟში, საგამოძიებო ორგანოებში და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადება და კლიენტის სახელით წარდგენა, ისეთი იურიდიული დახმარების გაწევა, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას". ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ადვოკატი კლიენტთან

თავის საქმიანობას იწყებს მასთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება.

5.6 მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ 2009 წელს გ. გ. და ადვოკატი ნ. კ. ზეპირსიტყვიერად შეთანხმდნენ გ. გ.-ისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევაზე - შეწყალების თაობაზე დასაბუთებული განცხადების მომზადებისა და შეწყალების კომისიისათვის მიმართვის შესახებ. მხარეთა პოზიციების გამოკვლევისა და საქმის სხვა მასალების შესწავლით დგინდება შემდეგი ფაქტები:

- 2009 წლის 23 ივლისიდან 2012 წლამდე ადვოკატი ნ. კ. გ. გ.-თან პენიტენციურ დაწესებულებაში შეხვედრაზე იმყოფებოდა სამჯერ: 2009 წლის 12 აგვისტოს, 2009 წლის 02 სექტემბერს, 2010 წლის 03 თებერვალს (საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულების 2012 წლის 16 დეკემბრის ცნობა).
- ადვოკატმა კლიენტს და მის დედას გაუწია სამართლებრივი კონსულტაციები გ. გ.-ის სისხლის სამართლის საქმის ეტაპიდან გამომდინარე. საჩივრის ავტორი ადვოკატთან სამართლებრივ მომსახურებაზე შეთანხმებისას წარმოადგენდა მსჯავრდებულს, განაჩენი კანონიერ ძალაში იყო შესული.
- ადვოკატმა კლიენტის სასარგებლოდ მოიძია დოკუმენტები: კლიენტის ჯანმრთელობის ცნობა, დახასიათებები სხვადასხვა საპატიმრო დაწესებულებიდან, მისი საცხოვრებელი ადგილიდან და მოამზადა განცხადება შეწყალების თაობაზე.
- ადვოკატმა მიმართა პრეზიდენტის კანცელარიას გ. გ.-ის შეწყალების მოთხოვნით. ბრალდებულმა უარი მიიღო შეწყალებაზე. ამის შემდეგ გარკვეული პერიოდის შემდეგ მხარეებს შორის შეწყდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

5.7 ადვოკატის პოზიციისა და შესრულებული სამართლებრივი მოქმედებების გათვალისწინებით იგი ორიენტირებული იყო კლიენტის ინტერესები დაეცვა. ადვოკატის ქცევაში არ დგინდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაძლო დარღვევა.

5.8 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომ ადვოკატი დასრულებულ სისხლის სამართლის საქმეზე შეჰპირდა საქმეზე წარმოების განახლებას და პროფესიული კონტაქტების გამოყენებას, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ დაპირება კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიმართ ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი). გ. გ.-ის მოცემულ პრეტენზიაზე მხარეებს განსხვავებული პოზიციები აქვთ: ადვოკატი უარყოფს კლიენტისათვის ისეთი დაპირების მიცემას, რასაც არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ადვოკატის ქცევის შეფასებისთვის არსებითია სადავო ფაქტის დადგენა - რამდენად შეპირდა ადვოკატი ნ. კ. კლიენტს, რომ კანონიერ ძალაში შესულ და აღსრულებულ განაჩენზე შეძლებდა წარმოება განახლებულიყო სააპელაციო

წესით. მოცემული ფაქტის თაობაზე კოლეგიისთვის დასაბუთებული ვარაუდის შექმნის მტკიცების ტვირთი აწევს საჩივრის ავტორს, რომელმაც მხოლოდ ზეპირად განმარტა აღნიშნული ფაქტი. სადავო ფაქტზე რადგან ორი ტოლფასი ძალის მტკიცებულებაა: გ. გ.-ის და ადვოკატ ნ. კ.-ის განმარტებები, თან ადვოკატი უარყოფს მსგავს დაპირებას, საპროცესო კოლეგია არსებითად ვერ შეაფასებს ადვოკატის ქცევას, რადგან არ დგინდება მისი მხრიდან კლიენტისათვის დაპირების მიცემა წარმოების განახლებაზე. საჩივრის ავტორის, გ. გ.-ის ახსნა-განმარტების გარდა საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატის მიერ მისთვის დაპირებას რომ გავლენიანი კონტაქტების მეშვეობით შეძლებდა დასრულებული სისხლის სამართლის საქმეზე აპელაციის ეტაპზე წარმოების განახლებას. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ აღნიშნული ფაქტი ვერ დგინდება და ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს გარანტიის მიცემის დაუშვებლობის პრინციპის ფარგლებში.

5.9 მხარეთა შორის სადავოა ადვოკატის მიერ მიღებული თანხის ოდენობა და დანიშნულება. საადვოკატო მომსახურების ჰონორარის გადახდასთან დაკავშირებით მხარეთა პოზიციები განსხვავებულია. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მისმა ოჯახის წევრმა ადვოკატს ჰონორარის სახით 1000 ლარი გადასცა, ხოლო ადვოკატი უთითებს, რომ 600 ლარი მიიღო. აქედან, თანხის ნაწილი განკუთვნილი იყო საქმის წარმოების ხარჯებისთვის, რადგან ხარჯებზე კლიენტთან ცალკე შეთანხმება არ ჰქონია. ვინაიდან კლიენტის მოთხოვნას წარმოადგენს ადვოკატს დაეკისროს მის სასარგებლოდ მიღებული მომსახურების საზღაურის გადახდა, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.'' შესაბამისად, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის თანხის დაბრუნების განხილვა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის.

5.10 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.11 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე #007/13 ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ /სიითი #/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე:	/კონსტანტინე გელაშვილი/
კოლეგიის წევრი:	/ეკატერინე გეწაძე/
კოლეგიის წევრი:	/ეკატერინე მაჭარაშვილი/